შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/ 53

თბილისი **“ 25 “ ივლისი 2022 წ.**

რიგგარეშე მობილობის ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტებისა და სსიპ განათლების მართთვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 05.07.2022 წლის ბრ. N1.1/66 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სასწავლო უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები ქვემოთ მოყვანილის შესაბამისად:

- რიგგარეშე მობილობის თაობაზე ონლაინ რეგისტრაციის (წერილობითი განაცხადისა და პირადი საქმის ასლების წარდგენა) ვადა - **2022 წლის 26 ივლისიდან 08 აგვისტოს ჩათვლით.**
- სასწავლო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობით გადმოსვლის სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა **2022 წლის 26 ივლისიდან 08 აგვისტოს ჩათვლით;**
- რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტის პროექტის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენის ვადა - **2022 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით;**
- სტუდენტთა რიგგარეშე მობილობით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის ვადა - **არაუგვიანეს 2022 წლის 18 აგვისტოსი**

2. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება (რექტორის სახელზე);

- სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- პირადობის მოწმობის ასლი;

-სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);

- სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;

- სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

3. რიგგარეშე მობილობის პროცესის კოორდინირება დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს

4. სასწავლო უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით;

5. რიგგარეშე მობილობით გადმოსული სტუდენტები ისარგებლებენ 500 ლარიანი შიდა გრანტით და პირველ წელს სწავლის საფასური განესაზღვრებათ 1750 ლარის ოდენობით;

6. ბრძანების სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს გთუნი-ს მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს

7. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

კანცლერი
ელისო ელისაშვილი